

გრიგოლ ზურაბის ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის გარდაცვალებაზედ

აღარ გვყავს იგი, ვისაც გულით ჩვენ შევხაროდით,
ვინც იყო ერთი, მარტო ერთი ჩვენი შვენება:
ვისიც ციურის ლექსით, სიტყვით, აზრით ვტკბებოდით,
ვინც იყო ჩვენის მამულისა, ერის დიდება.

აღარ გვყავს იგი, ის მოხუცი, ტკბილი მოძრავი,
მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფე, კაცი გულწრფელი.
აღარ არს იგი! არის მხოლოდ გვამი-ცხედარი,
კუბოს წევს, ვერ გრძნობს, რომ ეთხრება სამარე ბნელი.

მაგრამ ჩვენა ვგრძნობთ, ის სამარე ჩვენთვის რა არის:
ქველს და ჭეშმარიტს მამულის ძეს ჩვენ მას ვაბარებთ,
და რა მაზედა ის სამარე ბნელი დაიხშვის,
ცხარტ ცრემლთ დავაფრქვევთ, მაგრამ მითი ჩვენ მას ვერ ვარგებთ,

აღარ არს იგი! შეწყდა ლექსი ციური, ტკბილი:
ვეღარ მოვისმენთ მის საუბარს ცხოველს, მხიარულს,
და მისი სიტყვა მარგალიტად, ტურფად წყობილი
არ გაგვიცხოვლებს ამიერთ გულსა დაჩაგრულს!